საქართველოს კანონი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 04.01.2007, მუხ. 33) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ და „ღ“ ქვეპუნქტები:

„ქ) ლიზინგის რეგისტრაცია – სააგენტოში სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე ლიზინგის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა, ლიზინგის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით;

ღ) ლიზინგის მოწმობა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 580^8 მუხლით გათვალისწინებული ლიზინგის მოწმობა.“.

2. მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$წ^1$“ და „$წ^2$“ ქვეპუნქტები:

„$წ^1$) ლიზინგის რეგისტრაცია;

$წ^2$) ლიზინგის მოწმობის გაცემა;“.

3. მე-6 მუხლის:

ა) „ჰ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ჰ^1$“ და „$ჰ^2$“ ქვეპუნქტები:

„$ჰ^1$) ლიზინგის რეგისტრაცია – 50 ლარი;

$ჰ^2$) ლიზინგის მოწმობის გაცემა – 50 ლარი.“;

ბ) შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის 23^2 პუნქტი:

„23^2. ლიზინგის რეგისტრაციის პირობებს, ლიზინგის მოწმობის ფორმასა და გაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.“.

4. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები:

„რ) ლიზინგის რეგისტრაცია ან ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმება – 5 სამუშაო დღე;

ს) ლიზინგის მოწმობის გაცემა – 5 სამუშაო დღე.“.

5. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2017 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ლიზინგის რეგისტრაციის პირობების, ლიზინგის მოწმობის ფორმისა და გაცემის წესის დამტკიცება.“.

მუხლი 2

1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2017 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს სათანადო

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ 2017 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის აღსრულებისათვის აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი–მე-4 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი–მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2017 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

30 ივნისი 2017 წ.

N1196-IIს